პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 128 (19570) ◆ სამშაბათი, 3 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი

ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალისტთა პროფესიული, მარქსისტულ-ლენინური მომზადების ძირეულ გაუმჯობესებას. კადრების კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა და მათი დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ბევრად განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის მასშტაბსა და ტემპს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნა, რომელიც დასახულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი გადაუდებელი, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

I. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება

სსრ კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლას ისტორიული დამსახურება მიუძღვის საზოგადოების წინაშე.

მის მიერ მომზადებულმა სპეციალისტთა კადრებმა შესაძლებელი გახადა წარმატებით გადაწყვეტილიყო სოციალისტური აშენებლობის, ქვეყნის თანამედროვე მძლავრი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და თავდაცვითი პოტენციალის შექმნის ურთულესი ამოცანები. მოკლე დროში ჩამოყალიბდა მრავალეროვანი სახალხო ინტელიგენცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მატერიალური წარმოების, სულიერი სფეროს განვითარებაში, ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებაში.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და ეკონომიკურ რაიონში მოქმედებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების განშტოებული ქსელი. უმაღლესი სკოლა არის არა მარტო კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის შევსების წყარო, არამედ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილიც. საბჭოთა მეცნიერებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს პრიორიტეტი ეკუთვნით მეცნიერების მთელ რიგ ახალ მიმართულებათა განვითარებაში, ბევრი სახეობის პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნაში.

მსოფლიო აღიარება მოიპოვა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიღწევებმა. საბჭოთა უმაღლესი სკოლა აბორიგენებს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას, დიდ დახმარებას უწევს მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ეროვნული კადრების მომზადებაში.

ამავე დროს უკანასკნელ პერიოდში სპეციალისტთა მომზადებასა და გამოყენებაში გროვდებოდა გადასაჭრელი პრობლემები, მატუოლობდა ნეგატიური მოვლენები. განვითარების ექსტენსიური გზების სიჭარბე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სფეროშიც გამოვლინდა. სპეციალისტთა გამოშვების განუწყვეტელ, გარკვეულწილად დაუსაბუთებელ ზრდასთან ერთად არ ხდებოდა მათი მომზადების ხარისხის ჯეროვანი გაუმჯობესება. სწავლებისა და აღზრდის დონე სრულად არ აკმაყოფილებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სწრაფი ათვისების ამოცანებს.

უმაღლეს სკოლაში მოხდა სპეციალობათა გაუმართლებელი დანაწევრება. მათი რიცხვის მნიშვნელოვანი გადიდება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ზოგადმეცნიერულ და პროფესიულ მომზადებაზე.

უწყებრივმა და კუთხურმა ინტერესებმა გამოიწვია ის, რომ ბევრ სასწავლებელში დაიქსაქსა ერთი და იმავე სახელწოდების სპეციალობათა კადრების მომზადება. გაჭიანურდა ბევრი ახალი უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბება.

მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან — ნამდვილ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან ერთად, სადაც აქტუალური პრობლემების ღრმა კვლევა ორგანულად არის დაკავშირებული მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ჩამოყალიბებასთან, არის ბევრი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა ხარისხოვან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო პროცესში მთავარი ყურადღება ეთმობა შესასწავლი მასალის მოცულობის გაფართოებას, რაც იწვევს მოსწავლეთა გადამეტებირთვას, ზიანს აყენებს დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების ჩვეულების განვითარებას. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მომავალ სპეციალისტებთან ინდივიდუალურ მუშაობას, ამისათვის შექმნილი არ არის სათანადო პირობები. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სტუდენტთა რიცხვის ნორმატივები, რომლებიც ერთ მასწავლებელზე მოდის. ბევრი სასწავლებელი მოწყვეტილია წარმოებას, სუსტად არის დაკავშირებული აკადემიურ და დარგობრივ სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ამის შედეგად ახალგაზრდა სპეციალისტები მნიშვნელოვანწილად მოუმზადებელი არიან ახალი თაობების ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენებისათვის, ვერ იღებენ სათანადო ჩვევებს, რომ გამოიყენონ ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის, დაპროექტებისა და სამეცნიერო ექსპერიმენტების, წარმოების მართვის თანამედროვე საშუალებანი. ისინი სუსტად ფლობენ წარმოების, მისი ინტენსიფიკაციის რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების ეფექტიან მეთოდებს. სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულს არასაკმარისი კლინიკური მომზადების გამო ხშირად არ შესწევთ უნარი კვალიფიციურად დასვან დიაგნოზი და უზრუნველყონ სწორი მკურნალობა. დღევანდელობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სწავლების ხარისხი სპეციალობათა სხვა ჯგუფების მიხედვითაც.

დაუსაბუთებლად დაკნინებულია საშუალო სპეციალური სკოლის როლი ქვეყნისათვის საჭირო საშუალო რგოლის კადრების მომზადებაში, ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი ადგილი თანამედროვე წარმოების შეცვლილ პირობებში, პროფესიული განათლების სისტემაში.

მომწიფდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მართვის გაუმჯობესების პრობლემა. დღეს 894 უმაღლესი სასწავლებელი ექვემდებარება 74 საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროსა და უწყებას, აქედან 30-ს აქვს მხოლოდ 1-2 ინსტიტუტი. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს ხელმძღვანელობს 200-ზე მეტი უწყება. ბევრმა დარგობრივმა ინსტიტუტმა და უწყებამ მათდამი დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში ვერ უზრუნველყო მეცნიერ-პედაგოგთა კადრების, სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის, აგრეთვე მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის სათანადო დონე. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ უწევს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, საკმაო გავლენას ვერ ახდენს დარგობრივი სამინისტროების უმაღლეს სასწავლებლებზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ქმედითი ბერკეტი არ გამხდარა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემაც. სწავლების არც გაქანებით, არც სიღრმით იგი არ შეესაბამება თვისებრივად ახალ ტექნიკურ საფუძველზე ეკონომიკის გადაყვანის მოცანებს. ამ სისტემის სასწავლო ქვეგანყოფილების არსებული ქსელი ვერ უზრუნველყოფს სპეციალისტთა ცოდნის რეგულარულ, ოპერატიულ განახლებას, სუსტად გამოიყენება ამ მიზნით უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობანი. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო სრულად ვერ ახორციელებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის დაკისრებულ ფუნქციებს.

სპეციალისტთა მომზადების დონესა და საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებათა შორის სულ უფრო მზარდ სხვაობას პრაქტიკულად დიდხანს არ მისცემია ჯეროვანი შეფასება. უმაღლესი განათლების განვითარებაში წარსულმა წარმატებებმა დაჩრდილა სერიოზულ სიძნელეთა ზრდა, შესუსტდა ყურადღება მისი ნაკლოვანებებისა და საჭიროებებისადმი.

არასაკმარის ისოგნებათა გამო სერიოზულად ჩამორჩა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზა. იგი მოძველდა და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სპეციალისტთა მომზადების ამოცანებს. სრულიად არადამაკმაყოფილებელია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის უზრუნველყოფა ელექტრონულ-გამოთვლითი და სხვა თანამედროვე ტექნიკით. იგრძნობა სასწავლო შენობების, ბიბლიოთეკების, საერთო საცხოვრებლების ნაკლებობა. კადრების მომზმარებელი სამინისტროების მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის განმტკიცებასა და ახალი მოწყობილობით მათს აღჭურვაში უმნიშვნელოა, ეპიზოდური, არასავალდებულო ხასიათისაა მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, რომლებიც მრავალ სპეციალისტს იღებენ, პრაქტიკულად არ მონაწილეობენ შესაბამისი სასწავლებლების განვითარებაში. კადრების სწავლებისათვის სუსტადაა გამოყენებული გაერთიანებების, საწარმოების, აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არსებითი ნაკლოვანებანია მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტებაში. კათედრების, მესამედზე ნაკლებს ხელმძღვანელობენ პროფესორები. ბევრი მაპროფილებელი კათედრის მასწავლებლებს ძირითადად არა

(გაგრძელება მე-2 გვ.).

პიონერული ზაფხული—86

სტუმრად, როგორც შინ

№ 425 მატარებელი სამგზავრო შემადგენლობის მოძრაობის საზაფხულო განრიგში არ არის შეტანილი. მაგრამ გასულ კვირას თბილისის ბორჯომის ვაგზალზე მის ჩამოსვლას განსაკუთრებით ბევრი დამხვდური ელოდებოდა.

მარშს უკრავს ბავშვთა სასულე ორკესტრი, ბაქანზე გამწკრივებულან პიონერულ ფორმებსა და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი თბილისელი მოსწავლეები ყვავილებით ხელში. რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდობა საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების, პროფსაბჭოს და კომკავშირის წარმომადგენლები, საზოგადოებრიობა ხვდებიან უკრაინელ ბავშვებს. კიევის ოლქის პიონერები ახლანდელ ზაფხულს გაატარებენ ცხვარიჭამიის სანავშვო გამაჯანსაღებელ ქალაქში. საზაფხულო არდადეგებისათვის იგი სტუმრებს დაუთმეს რესპუბლიკის პროფკავშირებმა.

...„მატარებელი „კიევი-თბილისი“ ჩამოდგა პირველ ლანდგაზე“. გამოჩნდა ბავშვთა ნახატებით, ფერადი პლაკატებითა და ლოზუნგებით მორთული შემაჯ[illegible] გენლობა. ფანჯრებიდან მოღიმარი ბავშვები იცქირებიან; ასე ჯოლბილად ხვდებიან ქართულ მიწა-წყალზე მათ ყოველ სადგურში. მალე ავტობუსები, რომლებსაც წარწერილი აქვთ ბანაკების სახელები „მერცხალი“, „სიჭაბუკე“, „მშენებელი“, — სანაპიროზე მიემართებიან.

— რა ინსტრუმენტებია ბანაკში. იქნება დისკოთეკა? როგორ ეწოდება მას ქართულად? — კითხვებს აყრიან პიონერხელმძღვანელ ნ. რიზაევას, თბილისის № 2 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეს — მომავალ მედდას.

გზა მთებში მიიკლაკნება. თუმცა ეს მთები ყველაზე მაღალი როდია საქართველოში, მაგრამ ეს უჩვეულო პეიზაჟი ბავშვებისათვის დღევანდელი დღის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილებაა.

სწორედ ისევ მოწყობილი უკრაინელ პიონერთა დასვენება ცხვარიჭამიაში, რომ ბავშვებმა [illegible] ... ბულ ... ბა. [illegible] ... ტებ[illegible] ... ელ ... ბ[illegible] ... ბ[illegible] ... ბ[illegible]

ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის კირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

აქვთ საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება. უმაღლეს სკოლაში არსებული შრომის ანაზღაურების წესი და დონე სტიმულს არ აძლევს იმას, რომ პედაგოგიურ მუშაობაში ჩაბან სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები. სტიპენდიით უზრუნველყოფა უნდა გაუუმჯობესდეთ ასპირანტებსა და სტუდენტებს, მათგან, უწინარეს ყოვლისა, იმათ, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე სათადარიგოდ დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის საქმიანობის შედეგების ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას ბევრად აკნინებს სპეციალისტთა გამოყენებაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი. იმ დროს, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ინტერესები მოითხოვს ქვეყნის მთელი ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედებას, გაძლიერდა მისი გამოყენებისადმი მფლანგველური დამოკიდებულების ტენდენცია. მრეწველობაში უმაღლესი განათლების მქონე ყოველი მეორე სპეციალისტი მუშაობს თანამდებობაზე, რომელსაც არ სჭირდება მიღებული კვალიფიკაცია და სპეციალობა. რაციონალურად არ არის გამოყენებული აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროფილის კადრები, მასწავლებლები და სხვები. სპეციალისტთა მომზადების გეგმები არ ასახავენ სახალხო მეურნეობის ნამდვილ მოთხოვნილებებს. მათი ფორმირება ხორციელდება მოუწესრიგებელი, ხშირად დამახინჯებული საშტატო ნუსხის, სამინისტროებისა და ორგანიზაციების დაუსაბუთებელი განაცხადების საფუძველზე, რომლებიც ამისათვის არავითარ პასუხს არ აგებენ.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა საინჟინრო კორპუსის გამოყენებაში. ბევრ შემთხვევაში სამუშაო დროის მხოლოდ მესამედს ახმარენ ინჟინრები საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ, კვლევითსა და ანალიზურ მუშაობას. ინჟინრის თანამდებობებს ხშირად აწესებენ იქ, სადაც საჭირო არ არის უმაღლესი ტექნიკური განათლება, აშკარად შემცირებულია საშტატო ნუსხაში ტექნიკოსთა თანამდებობების წილი.

სპეციალისტთა გამოყენების არსებული პრაქტიკა იიხსნება აგრეთვე მათი ხელფასის დაბალი დონით. სრულიად არასაკმარისია მისი დიფერენციაცია შესასრულებელი სამუშაოს ხარისხისა და სიძნელის მიხედვით. სპეციალისტთა, განსაკუთრებით ინჟინერთა, შრომის პრესტიჟის დაკვეთება აშკარად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ტექნიკური ინტელიგენციის ობიექტურად გაზრდილ სოციალურ როლს. აღნიშნულ პროცესებს მოჰყვა ინჟინერ-ტექნიკური განათლებისადმი ახალგაზრდობის ლტოლვის შესუსტება, სწავლისათვის სტუდენტთა პასუხისმგებლობის შენელება, უმაღლესს სასწავლებლებში კონკურსების შემცირება.

ამრიგად, მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ ღრმად გარდაექმნათ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, შევუსაბამოთ იგი თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებს.

დროის საარსებო მოთხოვნაა გავაძლიეროთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების —ეკონომიკაზე, მთელი სოციალისტური საზოგადოების შეუნელებელ განვითარებაზე ხანგრძლივი ზემოქმედების ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი. სპეციალისტთა მომზადების სისტემა, და უწინარეს ყოვლისა უმაღლესი სკოლა, უნდა გახდეს ერთიანი სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ქმედითი ინსტრუმენტი, მისი გამტარებელი. სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების მეცნიერული პროგნოზირების საფუძველზე ლ ზ ე მან დროულად უნდა შექმნას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკადრო რესურსები.

უმაღლესი განათლება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებაში. უმაღლესი სკოლის გარდაქმნის დროს უნდა გავაძლიეროთ მისი როლი საზოგადოების სულიერ სფეროში, მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებაში, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით გაქრობაში, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის განმტკიცებაში. კიდევ უფრო განვითარდება საბჭოთა უმაღლესი სკოლის საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. საჭიროა გავამდიდროთ უმაღლესი განათლების იდეურ-თეორიული, ჰუმანიტარული შინაარსი, გავაძლიეროთ მისი კავშირი საზოგადოებრივ პრაქტიკასთან, როგორც პიროვნების მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბების საფუძველი. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ სასწავლებლების დიდი შესაძლებლობანი ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის კომუნისტური აღზრდის სრულყოფის საქმეში.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნის შედეგად უნდა უზრუნველყოთ სპეციალისტთა კადრების მომზადების ახალი ხარისხი მათი გამოყენების ძირეულ გაუჯობესებასთან მჭიდრო კავშირით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის გასვლას მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე. პარტიას უმაღლესი სკოლა მიაჩნია საკადრო პოლიტიკის მთელი სისტემის მნიშვნელოვან ნაწილად. დასახელია ამოცანა უზრუნველყოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების უპირატესი განვითარება სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციის გეგმებში უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. წესად უნდა გვიხადოთ, რომ სასწავლებლებში მომზადების გაფართოებას თუ ახალ სპეციალობათა გახსნას თან სდევს დაინტერესებული დარგების ერთჯერადი კაპიტალური დაბანდება. საჭირო შემთხვევებში სახელშეკრულო პრინციპები შეიძლება გავავრცელოთ სამეცნიერო დაწესებულებებთან უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ურთიერთობაზეც.

წარმოებასთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიმართულებაა კადრებზე რეალური მოთხოვნილების გამოვლენის ახალ მექანიზმებზე გადასვლა და ამ საფუძველზე სპეციალისტთა მომზადების მოცულობის განსაზღვრის ბიუროკრატიული მეთოდების დაძლევა. კადრებზე მოთხოვნილების შესწავლისა და მათი პროფესიულ-ყვალიფიც ი უ რ ი სტრუქტურის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს საწარმოთა და სასწავლებელთა ერთობლივი საქმიანობა სპეციალისტთა სამუშაო ადგილების ბალანსებისათვის, მუშაკთა ფუნქციებისა და შრომის შინაარსის ზუსტი განსაზღვრისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სპეციალისტთა მომზადებაში ხშირად ფარული სიჭარბის ლიკვიდაციას. ამ ბაზაზე უნდა შევიმუშაოთ სახალხო მეურნეობის დარგებში საშტატო ნუსხების ახალი სტრუქტურები, აღვკვეთოთ ინჟინრის თანამდებობათა ზედმეტობა სამმართველო აპარატის ყველა რგოლში. წარმოების საინჟინრო უზრუნველყოფის ნორმატივები უნდა განისაზღვროს მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე საბჭოური და საზღვარგარეთული პრაქტიკის მიღწევების გათვალისწინებით. ამავე დროს სახელშეკრულო ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოების მართვისა და ორგანიზაციის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის დარგში უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების გაფართოებას.

კადრების სტრუქტურის სრულყოფა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მორალური და მატერიალური შეფასებისა და ანაზღაურების ფონდები, აგრეთვე დარგებისა და საწარმოების სახსრები, რომლებიც ხმარდება კადრების მომზადებას, მეცნიერულ კვლევას. გარდა ამისა, დარგების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გეგმებში უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. წესად უნდა გვიხადოთ, რომ სასწავლებლებში მომზადების გაფართოებას თუ ახალ სპეციალობათა გახსნას თან სდევს დაინტერესებული დარგების ერთჯერადი კაპიტალური დაბანდება. საჭირო შემთხვევებში სახელშეკრულო პრინციპები შეიძლება გავავრცელოთ სამეცნიერო დაწესებულებებთან უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ურთიერთობაზეც.

წარმოებასთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიმართულებაა კადრებზე რეალური მოთხოვნილების გამოვლენის ახალ მექანიზმებზე გადასვლა და ამ საფუძველზე სპეციალისტთა მომზადების მოცულობის განსაზღვრის ბიუროკრატიული მეთოდების დაძლევა. კადრებზე მოთხოვნილების შესწავლისა და მათი პროფესიულ-ყვალიფიც ი უ რ ი სტრუქტურის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს საწარმოთა და სასწავლებელთა ერთობლივი საქმიანობა სპეციალისტთა სამუშაო ადგილების ბალანსებისათვის, მუშაკთა ფუნქციებისა და შრომის შინაარსის ზუსტი განსაზღვრისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სპეციალისტთა მომზადებაში ხშირად ფარული სიჭარბის ლიკვიდაციას. ამ ბაზაზე უნდა შევიმუშაოთ სახალხო მეურნეობის დარგებში საშტატო ნუსხების ახალი სტრუქტურები, აღვკვეთოთ ინჟინრის თანამდებობათა ზედმეტობა სამმართველო აპარატის ყველა რგოლში. წარმოების საინჟინრო უზრუნველყოფის ნორმატივები უნდა განისაზღვროს მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე საბჭოური და საზღვარგარეთული პრაქტიკის მიღწევების გათვალისწინებით. ამავე დროს სახელშეკრულო ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოების მართვისა და ორგანიზაციის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის დარგში უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების გაფართოებას.

კადრების სტრუქტურის სრულყოფა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესების ღონისძიებებს, მათს რეალურ წვლილს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. ამასთან უნდა დავაწესოთ ინჟინერთა და ტექნიკოსთა შრომის ანაზღაურების დასაბუთებული თანაფარდობა სხვა კატეგორიების მუშაკთა ხელფასთან.

ამასთან ერთად უნდა შევიმუშაოთ სამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებანი, რათა გავაძლიეროთ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა კადრების მომზადების განაცხადებს საფუძვლიანობისათვის, აგრეთვე წარმოებაში ახალგაზრდა სპეციალისტთა დამკვიდრების, მათი შრომისა და ყოფის სათანადო პირობების შექმნის საკითხთა გადაწყვეტისათვის.

თავის მხრივ, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა გააძლიერონ ზრუნვა სპეციალისტთა რაციონალური გამოყენებისათვის, მუდმივი პროფესიული ზრდისა და შრომის ეფექტიანობის გადიდებისათვის. დასახულია ამოცანა, რომ უმაღლესი სკოლა უთუოდ უზრუნველყოფდეს თავისი აღზრდილების ცოდნის მაღალ დონეს მთელი მათი პრაქტიკული საქმიანობის მანძილზე.

უმაღლესი სკოლისა და წარმოების ინტეგრაციის გაძლიერებამ უნდა გაადიდოს მომხმარებლის როლი კადრების მომზადების დონის შეფასებაში. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ მათი სწავლების ხარისხი ვლინდება უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადამიანის ცოდნა ყველაზე დავაწესოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა ატესტაციის შემდეგი წესი: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მივცეთ დიპლომი უმაღლესი განათლების მიღების შესახებ, ხოლო განაწილების ადგილს სამი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით — სპეციალისტის საკვალიფიკაციო ატესტატი, რომელშიც მთელი შრომითი საქმიანობის მანძილზე უნდა აისახებოდეს მისი კვალიფიკაციის ზრდა. საჭიროა აგრეთვე მოვაწესრიგოთ არსებული სისტემა სპეციალისტთა პერიოდული ატესტაციისა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოეწყოს. შრომის ხარისხისა და კვალიფიკაციის სტიმულირების გასაძლიერებლად უნდა დავაწესოთ სპეციალისტის თანამდებობათა რამდენიმე კატეგორია შესაბამისი სარგოთი, რომლებიც დაკავშირებული იქნება შესასრულებელი სამუშაოს ხასიათთან და ხარისხთან. საკვალიფიკაციო ატესტატი უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ სპეციალისტმა დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა.

III. სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანაა

უპირველესი ამოცანაა განვახორციელოთ მტკიცე შემობრუნება მასობრივი, მთლიანი სწავლებიდან ინდივიდუალური, მიდგომის გაძლიერებისაკენ, მომავალ სპეციალისტთა შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისაკენ, ამასთან დავეყრდნოთ მათს დამოუკიდებელ მუშაობას, სწავლების ისეთ აქტიურ ფორმებსა და მეთოდებს, როგორიც არის სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსიები, საწარმოო და პრაქტიკული სიტუაციების მოდელირება. ანალიზური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი უნდა გახდეს სტუდენტთა უთუო მონაწილეობა მეცნიერულ გამოკვლევებში, რეალურ საპროექტო და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ნამუშევართა შესრულებაში. სასწავლო პროცესის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისა და ხარისხის გაუმჯობესების საიმედო საშუალება იქნება მისი კომპიუტერიზაცია.

დასახული ამოცანის წარმატებით რეალიზაციისათვის უნდა შევამციროთ სტუდენტთა დატვირთვა სავალდებულო საუდიტორიო მეცადინეობით, სრულყოფილ დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია, ამასთან უზრუნველყოფთ მასწავლებელთა მხრივ მეთოდიკური დახმარება და კონტროლი. ინდივიდუალური მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით უნდა შევამციროთ სტუდენტთა რაოდენობა ერთ მასწავლებელს, კერძოდ, ზოგიერთ სპეციალობაში, სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების გზით. პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული მეცადინეობა მოვაწყოთ, როგორც წესი, ჯგუფებში, სადაც დაახლოებით 15-მდე კაცი იქნება. განვავითაროთ სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. გავიდოდოთ არჩევით ფაკულტატიური კურსებისა და დისციპლინების ნუსხა.

შეექმნათ სტუდენტთა კოლექტივებში ცოდნისათვის დაძაბული ბრძოლის ვითარება, ხელი შეუწყოთ ახალგაზრდობის უნარისა და ნიჭის ყველაზე სრულ გამოვლენას. სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის კვალიფიკაციისათვის მთელი მუშაობის ქვაკუთხედი უნდა გავხადოთ ცოდნის დაუფლებაში შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება. გავაღიერთ სტუდენტთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა სასწავლო შრომის შედეგებისათვის. უზრუნველყოთ სწავლების ხარისხის უფრო მომთხოვნელი და ობიექტური შეფასება, ამასთან სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში გამოვრიცხოთ პროცენტომანისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი. აღმოვფხვრათ მასწავლებელთა რიცხოვნობის დამოკიდებულება მოსწავლეთა განთესვაზე. განვსაზღვროთ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის შტატები სხვადასხვა პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების გეგმების, ჩამოყალიბებული სასწავლო ჯგუფების რაოდენობის, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე. კურსდამთავრებულების, რომლებიც წარჩინების დიპლომებს მიიღებენ, დავუწესოთ გადიდებული ოდენობის თავდაპირველი ხელფასი.

მოწესრიგებას მოითხოვს უმაღლეს სკოლაში კადრების მომზადების სტრუქტურა. უნდა დავძლიოთ ვიწროუწყებრივი, დისციპლინური მიდგომა სპეციალობათა ნომენკლატურის აგებისადმი, მნიშვნელოვნად შევამციროთ მათი საერთო რაოდენობა. გადავიდეთ ფართო პროფილის სპეციალისტთა ფორმირებაზე, რომლებშიც შეხამებულია ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და კონკრეტულ დარგზე ორიენტირებული საფუძვლიანი პრაქტიკული მომზადება. წარმოების მონაწილეობით მომავალ სპეციალისტთა სწავლების დამთავრებამ, კვალიფიკაციის ამაღლების განვითარებულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს კადრების კონკრეტული სპეციალიზაცია და სწრაფი ადაპტაცია მათი პრაქტიკული საქმიანობის განახლებადი პირობებისადმი.

უმაღლესი განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად უნდა გადავიდეთ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე, მოვაწესრიგოთ მათი რეგულირული განახლების სისტემა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უახლესი მიღწევების, პრაქტიკის თანამდროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ვიქონიოთ რეზერვი სასწავლო დროის დაახლოებით 15 პროცენტის ოდენობით.

ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვს შემოვიღოთ სპეციალისტთა დიფერენცირებული მომზადება მათი მომავალი პროფესიული საქმიანობის ძირითად სახეობათა შესაბამისად.

მეცნიერებატევადი წარმოებისა და საწარმო-ორგანიზაციების სამეცნიერო ქვეგანაყოფებისათვის უზრუნველყოთ კადრების გაღრმავებული მომზადება იმ გზით, რომ სტუდენტები, რომლებიც გამოიჩენენ მიდრეკილებას მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებისადმი, დადავიყენონ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მათ შორის სწავლების გახანგრძლივებული ვადით ან მოწინავე საწარმოებში ერთი წლის სტაჟირების სახით. გავაფართოოთ აგრეთვე ამ მიზნით დასწრებული ასპირანტურა და სტაჟირომკვლევარი ინსტიტუტი. ასეთი სპეციალისტების მომზადება განვახორციელოთ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეო სიმუშაოს ხასიათთან და ხარისხთან. საკვალიფიკაციო ატესტატი უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ სპეციალისტმა დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა.

IV. სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადება — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს კადრები, რომლებშიც შეხამებული იქნება ღრმა პროფესიული მომზადება და იდეურ-პოლიტიკური სიმწიფე და, რომლებიც აღზრდილი იქნებიან საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით. დღევანდელ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი მარქსისტულ-ლენინური მომზადება, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, სამმართველო და ორგანიზატორული მუშაობის ჩვეულება, ფლობდეს თავისი საქმიანობის პროფილის შესაბამისად ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების აქტიურ მეთოდებს, ჰქონდეს მაღალი ზოგადი კულტურა, იცოდეს უცხო ენა. იგი უნდა გამოირჩეოდეს ინიციატივითა და პასუხისმგებლობით, ჰქონდეს თავისი ცოდნის მუდმივი განახლებისა და გამდიდრების მოთხოვნილება, უარი გაბედულად იღებდეს ნოვატორულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად ახორციელებდეს მათ.

გარდაქმნის დასახული მიმართულებებიდან გამომდინარე, უნდა დავაზუსტოთ მოთხოვნები სხვადასხვა პროფილის სასწავლებლის განვითარებისადმი, თანამედროვე პირობებში მათი საქმიანობის ძირითადი ორიენტირები.

უმაღლესი და საშუალო სკოლის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ უნივერსიტეტებმა ყოველმხრივ გააუმჯობესონ საქმიანობა. მათი კურსდამთავრებულნი უნდა გახდნენ მოწინავე მეცნიერული აზრის გამტარებლები სახალხო განათლების ყველა რგოლში მისი განვითარების ახალ ეტაპზე. უნივერსიტეტების მეცნიერ-პედაგოგთა კოლექტივებმა განსაკუთრებით უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლას მოუმზადონ მაღალკვალიფიციური მასწავლებლები. არსებითად უნდა გავზარდოთ უნივერსიტეტების როლი აკადემიური და დარგობრივი მეცნიერებისათვის, უმაღლესი სკოლის, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და თანამედროვე წარმოებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და ბუნებისმეტყველების დარგის თეორეტიკოსთა კადრების მომზადებაში.

უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს დიდი თეორიული და გამოყენებითი მომზადების შეხამება, დიფერენციული მიდგომა პედაგოგიური, კვლევითი და საწარმოო საქმიანობისათვის კურსდამთავრებულთა სწავლებისადმი. განვავითაროთ სპეციალისტთა მომზადება იმ ახალი მიმართულებებით, რომლებიც მეცნიერებათა შესაყარზეა.

ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო ცოდნის მქონე კადრების ჩამოყალიბების მიზნით მიზანშეწონილია წამყვან უნივერსიტეტებში გვქონდეს სპეციალური განყოფილებები და ფაკულტეტები მეცნიერებატევადი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთა მომზადება-გადასამზადებლად.

უნივერსიტეტები, სადაც თავმოყრილია მეცნიერული ცოდნის უახლესი მიმართულებანი, ვალდებული არიან სულ უფრო მეტად განამტკიცონ ქვეყნის მეცნიერულ-თეორიული პოტენციალი, გავლენა მოახდინონ შესაბამისი რეგიონების სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, გახდნენ მეცნიერების, კულტურისა და კომუნისტური აღზრდის ნამდვილი ცენტრები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება დაბეჯითებით გვიკარნახებს არსებითად გარდაქმნათ საინჟინრო-ტექნიკური განათლება. უნდა აღვზარდოთ კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ რევოლუციური გარდაქმნები ტექნიკაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ორგანიზაციაში, შრომის ნაყოფიერების მრავალჯერადი ზრდა. ფართო პროფილის სპეციალისტთა სწავლებაში უნდა გავითვალისწინოთ თეორიული ბაზის გაღრმავება, საინჟინრო და სამმართველო საქმიანობა. უნდა გავაძლიეროთ მომავალ სპეციალისტთა ეკოლოგიური აღზრდა, მათი ორიენტაცია რაციონალურ და კომპლექსურ ბუნებათსარგებლობაზე.

თითოეული საცდელი მეურნეობა უნდა გადავაქციოთ სანიმუშო სასწავლო-სამეცნიერო საწარმოდ, სადაც სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება უნდა ხორციელდებოდეს წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიისა და მოწინავე ორგანიზაციის უშუალო რეალიზაციის პირობებში. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულს მაღალი კულტურა უნდა შეჰქონდეთ თანამედროვე სოფლის მთელ ცხოვრებაში.

ვითვალისწინებთ რა სოფლად კადრების დამკვიდრების პრობლემის განსაკუთრებულ სიმწვავეს, უნდა გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე უწინარეს ყოვლისა სოფლის ახალგაზრდობის შერჩევა, ჩავუნერგოთ მომავალ სპეციალისტებს მიწის სიყვარული, დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა.

წარმოების ინტენსიფიკაციის, მეურნეობრობის მეთოდების სრულყოფის მოთხოვნილებანი სავალ ეკონომისტთა კადრების სწავლების არსებითი გაუმჯობესების ამოცანას. უმაღლესმა სკოლამ უნდა გამოუშვას სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა და მათი გამოყენების მექანიზმის ცოდნა, შეეძლებათ ამ საფუძველზე განსაზღვრონ წარმოების ეფექტიანობის გადიდების კონკრეტული გზები, შეიმუშაონ საწარმოების, საწარმოო გაერთიანებებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მართვის სრულყოფის ღონისძიებანი.

ეკონომისტთა მომზადებაში უბადა უზრუნველვყოთ ის, რომ მათში ორგანულად იყოს შეხამებული პოლიტიკურ-ეკონომიკური განათლების მაღალი დონე და ეკონომიკის კონკრეტულ მიმართულებათა ღრმა ცოდნა, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ფართო თვალთახედვა, უარი — იყენებდნენ სამეურნეო სიტუაციებისა და გადაწყვეტილებების მათემატიკური მოდელირების მეთოდებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმას, რომ სტუდენტებს ჩავუნერგოთ საგეგმო-ეკონომიკური და სამმართველო ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის, ეკონომიკური მუშაობის კულტურის ჩვეება.

საბჭოთა ჯარამთელობის დაცვის ხარისხის რადიკალური გაუმჯობესების აქტუალური ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვს სამედიცინო განათლების გაუმჯობესებას, სპეციალისტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების მნიშვნელოვან გაძლიერებას. უნდა უზრუნველვყოთ მედიცინა-ბიოლოგიის მეცნიერებებისა და კლინიკური დისციპლინების სწავლების უფრო მჭიდრო კავშირი. კურსდამთავრებულები დაუფლებულები უნდა იყვნენ დიაგნოსტიკისა და ადამიანის ორგანიზმის, როგორც ერთიანი მთელის, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ უშუალოდ სამკურნალო და საავადმყოფოებში ექიმის, პროვიზორის ჩამოყალიბების დამამთავრებელ სტადიას, სუბორდინატურისა და ინტერნატურის ეფექტიანობის გადიდებას.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მედიცინის მუშაკებს ჩავუნერგოთ მაღალი ზნეობრივი, მოქალაქეობრივი თვისებები, გულმოწყალეობა. სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლები დავაკომპლექტოთ იმ პირებით, რომლებმაც უმცროს ან საშუალო სამედიცინო პერსონალად იმუშავეს სულ ცოტა ორ წელიწადს, აგრეთვე სათადარიგოდ დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეებით.

სკოლის რეფორმის შესაბამისად დაწყებული უმაღლესი პედაგოგიური განათლების გარდაქმნის მიზანია ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მასწავლებელთა კადრები, რომლებმაც ახალ დონეზე უნდა აიყვანონ მოზარდი თაობის განათლება და აღზრდა, მისი მომზადება დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის. საჭიროა გავაძლიეროთ უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების კავშირი საშუალო სასწავლებლებთან და სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებთან. აღვფურვოთ მომავალი მასწავლებლები მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებით, ჩავუნერგოთ მათ შეურიგებლობა ფორმალიზმისადმი, ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის გაქვავებული ფორმებისადმი.

მთლიანად უნდა დავაკმაყოფილოთ პედაგოგებსა და აღმზრდელებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მზარდი მოთხოვნილება. შეეძლოთ პირობები, რომ განათლების ყველა რგოლი უზრუნველვყოთ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებითა და აღმზრდელებით. გავშალოთ უცხო ენის მცოდნე პედაგოგ-აღმზრდელთა მომზადება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის.

მასწავლებლის პროფესიული სახის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებები უნდა იყოს იდეური და მორალური სისპეტაკე, მომთხოვნელი გულკეთილობა, დიდბუნებოვნება, ბავშვების სიყვარული. პედაგოგიურ ინსტიტუტებში მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ სკოლების პედაგოგიური საბჭოებისა და მშობლების რეკომენდაციებზე, რომლებსაც ამ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ბავშვებთან მუშაობის მიდრეკილება და გამოცდილება, აგრეთვე სათადარიგოდ დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

კულტურისა და ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის სრულყოფა უნდა დაეფუძნებოროთ საბჭოთა ადამიანის მზარდი სულიერი, ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, პროფესიულ ოსტატობასთან ერთად, უნდა გამოირჩეოდნენ იმის ღრმა გაგებით, თუ რა დიდი დანიშნულება აქვს შემოქმედებითს საქმიანობას, რა კონსტრუქციულ როლს ასრულებს იგი ახალი ადამიანის აღზრდაში, გამოირჩეოდნენ უწარით კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან ასახავდნენ ხელოვნებაში თანამედროვე სინამდვილის აქტუალურ პრობლემებს, ამ კვიდრებდნენ კომუნისტურ იდეალებს. უნდა გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა შერჩევა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთაგან, რომლებმაც ოსტატობის სწავლებასთან ერთად შემოქმედებით ახალგაზრდობას უნდა ჩაუნერგონ მაღალი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებები.

უნდა ავამაღლოთ კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებებისთვის სპეციალისტთა მომზადების დონე, უზრუნველვყოთ ისინი ხალხური შემოქმედებისა და მოსახლეობის კულტურული დასვენების ორგანიზატორთა კადრებით.

არსებითად უნდა გავაძლიეროთ საშუალო სპეციალური სასწავლებლების როლი პროფესიული განათლების სისტემაში. მივაღწიოთ საშუალო რგოლის კვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. უნდა მოვამზადოთ ტექნიკოსები მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობისათვის პირველადი შრომითი კოლექტივების კომპეტენტურ ხელმძღვანელებად, რომლებსაც უნარი იქნებათ გადაწყვიტონ ტექნიკური პროგრესის კონკრეტული ამოცანები წარმოების ძირეულ რგოლებში, უზრუნველყონ მაღალი ტექნოლოგიური კულტურა, ახალი მოწყობილობის ათვისება. საშუალო სპეციალური განათლების კადრებზე ბევრად არის დამოკიდებული ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, როგორიც არის ვაჭრობა, საბანაო მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კადრებზე რეალური მოთხოვნილების საფუძველზე განვახორციელოთ სპეციალისტთა დიფერენციული მომზადება ქალიშვილებისა და ჰაბუკების განათლების დონის, წარმოების ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით. დავიწყოთ საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადება თანამედროვე ტექნიკისა და განსაკუთრებით რთული ტექნოლოგიური მოწყობილობის გამართვისა და ექსპლოატაციისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტექნიკუმებში შეიქმნას განყოფილებები, რომლებზეც სწავლების შემცირებულ ვადაში და შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფით მოვამზადებთ ბრიგადირებსა და ოსტატებს მოწინავე მუშაზისაგან. გავაფართ

ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

(დასასრული)

გავაძლიეროთ პარტიული კომიტეტების როლი საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მოამზადებაში, განაწილებასა და აღზრდაში. მათი კვალიფიკაციის ამაღლების დროს ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საზოგადოებათმცოდნეთა თეორიული ცოდნის შევსებისას შევასწავლოთ მათ პრაქტიკული გამოცდილება პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში სტაჟირების საფუძველზე, ეფექტიანად ფართოდ გავაცნოთ მრომითი კოლექტივების, პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობა.

უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მთელი არსენალი, დაძლიოთ საქმის შინაარსის საზიანოდ რაოდენობრივი მხარით გატაცება. აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში დავაყენოთ ინდივიდუალური მიდგომა მომავალი სპეციალისტის პიროვნების განვითარებისადმი. ამასთან მიგაღწიოთ კოლექტივის თითოეული წევრის სწავლაზე, მრწამსზე, ქცევაზე და მორალურ სახეზე სტუდენტთა ჯგუფის ეფექტიან აღმზრდელობითს ზემოქმედებას, მათ მიერ კომუნისტური მორალის ნორმების ზუსტ დაცვას, საბჭოთა ცხოვრების წესის ანტიპოდების აქტიურ უარყოფას.

ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და მეტისმეტი ორგანიზებულობა სტუდენტთა და მოსწავლეთა საზოგადოებრივ მუშაობაში. ჯეროვნად ვიფასებთ რა სტუდენტური რაზმების მოძრაობის დიდ მნიშვნელობას, უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი მათი აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერებისათვის, მათი ცხოვრებიდან სამოსწავლო განწყობილებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის.

სტუდენტთა მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზაციაში უნდა ვეცადოთ, რომ ახალგაზრდობამ, რომელიც მონაწილეობს აქტიურად ამოცანების გადაწყვეტაში, წამყვან მეცნიერებთან ერთად, შეითვისოს მოქალაქეობრივი ეთიკა, შემოქმედებითი და თავდადებული დამოკიდებულება არჩეული საქმისადმი. სრულყოთ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშუშევრების კონკურსების მოწყობა.

გავაქტიუროთ მომავალი სპეციალისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, როგორც კომუნისტურ მრწამსად ცოდნის გადაქცევის ინსტრუმენტი, უზრუნველყოთ სტუდენტთა უფრო ფართო მონაწილეობა მშრომელთა შორის პარტიის პოლიტიკის პროპაგანდაში, ბავშვებთან და მოზარდებთან იდეურ-აღმზრდელობითს და სპორტულ-მასობრივ მუშაობაში.

ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ სტუდენტური თვითმმართველობა, მოსწავლეთა კოლექტივების, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა და თვითმოქმედება სტუდენტური ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში. მთლიანად გადავცეთ სტუდენტური ორგანიზაციების კომპეტენციას სტუდენტთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების, საერთო საცხოვრებლებსა და სასადილოებში, სასწავლო ოთახებსა და ბიბლიოთეკებში წესრიგის დამყარების საკითხები.

უფრო სრულად გამოვიყენოთ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის უფლებები უმაღლესი განათლების საკავშირო საბჭოში, უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტების საბჭოებში, რათა სწავლისა და აღზრდის პრინციპული საკითხები დავაყენოთ სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ სტუდენტთა აზრის, წინადადებების შესწავლის საფუძველზე. პროფესიის შემოქმედებითი დაუფლების, სწავლის პროცესში აღზრდის გაუმჯობესების საკითხები უნდა იდგეს სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების ყურადღების ცენტრში.

სტუდენტთა კოლექტივების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, სტუდენტთა წრეში ცხოვრების ჯანსაღი, კულტურული, საღი წესის დამკვიდრების მიზნით. უნდა განვახორციელოთ კარდინალური ღონისძიებანი, რათა განვავითაროთ ფიზკულტურულ-მასობრივი და თავდაცვით-სპორტული მუშაობა, როგორც სპეციალისტთა ფიზიკურად ჯანსაღ, შემოქმედებითად აქტიურ თაობათა ჩამოყალიბების ქმედითი საშუალება. ფართოდ გამოვიყენოთ ამ მიზნით საწარმოთა და უწყებათა კულტურულ-სპორტული ბაზა.

VI. უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების ყოველმხრივი განვითარება სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების საფუძველი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვანი რეზერვი

მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში. უფრო აქტიურად გამოვიყენოთ უმაღლესი სკოლის უპირატესობანი, უწინარეს ყოვლისა, სასწავლებლებში სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა კონცენტრაცია, კომპლექსური სახალხო-სამეურნეო და დარგთშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავებაში. განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს უმაღლეს სასწავლებლების, აკადემიური და დარგობრივი მეცნიერების კავშირი, დავძლიოთ მათი გათიშულობა. უნდა უზრუნველყოთ სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ერთიანობა, სტუდენტთა ფართო ჩაბმა გამოკვლევებში, ამ საფუძველზე სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

არსებითად უნდა გავაფართოოთ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული გამოკვლევებისა და ნაშუშევრების მასშტაბი, მივაღწიოთ მათი სახალხო-სამეურნეო უკუგების მკვეთრ გადიდებას. ამისათვის ორჯერ უნდა გავზარდოთ ფუნდამენტური გამოკვლევების მოცულობა და დაახლოებით სამოთხჯერ — საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საცდელ-საექსპერიმენტო სამუშაოების მოცულობა. გადავსინჯოთ შრომითი, ფინანსური და მატერიალური რესურსების განაწილების არსებული სტრუქტურა, მოვახმაროთ ისინი, უწინარეს ყოვლისა, „გამოკვლევა-დამუშავება-დანერგვის“ ციკლის დამამთავრებელ სტადიას. ფუნდამენტური და საძიებო გამოკვლევების განხორციელებაში გავაძლიეროთ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან წამყვანი უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების კოორდინაცია. ფუნდამენტური გამოკვლევების განვითარებისათვის გავზარდოთ ასიგნებანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და იმ სახსრების ნაწილის ხარჯზე, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები იღებენ სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა შესრულებისაგან. მოვაწესრიგოთ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გამოკვლევების შესრულება კათედრებზე, მათი უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებითა და დამხმარე პერსონალით.

გამოკვლევების შედეგების საინჟინრო დამუშავებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვის დაჩქარებისათვის გავაძლიეროთ უმაღლეს სკოლაში საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის და, უწინარეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებთაშორისი ორგანიზაციების და საწარმოების განვითარება. მიზანშეწონილია ამ ბაზაზე დავიწყოთ ახალი ნაწარმის საცდელი ნიმუშებისა და მცირე სერიების დამზადება, შევქმნათ მცირეტონაჟიანი წარმოებანი. შევქმნათ სპეციალიზებული ქვანაყოფები სამეცნიერო ექსპერიმენტების, დაპრიალებების, ტექნიკიკური პროცესებისა და წარმოების მართვის ავტომატიზაციის საპროგრამო საშუალებათა დასამუშავებლად.

სამინისტროებმა და უწყებებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის განვითარებაში, გადასცენ მათ მთელი რიგი საწარმოები, დაახმარონ თავიანთი საწარმოო სამძლავრეები ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშების დამზადებას და პროგრესული ტექნოლოგიების დახვეწას.

საჭიროა უკეთ მოვაწყოთ და გავზარდოთ იმ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ეფექტიანობა, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები ასრულებენ საწარმოებთან და დაწესებულებებთან დადებული სამეურნეო ხელშეკრულებებით. განვავითაროთ სამეურნეოხელშეკრულებითი სამუშაოები, რათა გადავჭრათ დიდი მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები უმაღლესი სასწავლებლების მართვის ორგანოებსა და დარგობრივ სამინისტროებს, აგრეთვე სასწავლებლებსა და საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოს შორის დადებული გრძელვადიანი კომპლექსური ხელშეკრულებების საფუძველზე.

უმაღლესი სასწავლებლების დასრულებული ნამუშევრების დანერგვის დასაჩქარებლად შემოვიღოთ მათი საკადრო თანხლების პრაქტიკა სპეციალისტთა მიზანმიმართული მომზადების, აგრეთვე საწარმოთა მუშაკების გადამზადების გზით.

საძიებო და ფუნდამენტური გამოკვლევების ფრონტის გაფართოების, საექსპერიმენტო-საწარმოო ბაზის განვითარებისა და განახლების მიზნით ნება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულების სამეურნეო ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ საგეგმო დაგროვებანი მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ისეთი პრაქტიკა, რომ შეიქმნას დროებითი კოლექტივები სასწავლებლების, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების საწარმოების მეცნიერთა და სპეციალისტთაგან ეფექტიან სიახლეთა საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო დანერგვისა და დანერგვისათვის.

კარდინალურად უნდა გავაუმჯობესოთ უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გავავლოთ მათი მომარაგების ორგანიზაციაზე წესი, რომელიც დადგენილია „მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების“ დარგისათვის.

უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კოლექტივებში უნდა შევქმნათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დიდი მოქალქეობრივი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო.

VII. მეცნიერთა და მეცნიერ-პედაგოგთა კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის აღმავლობის გადამწყვეტი ფაქტორია

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი განისაზღვრება უწინარესად პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობით. საზოგადოებრივი განვითარების მთელი მომდინარეობა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-პედაგოგთა კადრებს აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. არსებითად უნდა გავაუმჯობესოთ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ფორმირება; შევქმნათ სასიკეთო პირობები ახალგაზრდა მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაკთა შემოქმედებითი ნინსათვის.

გავაფართოოთ მეცნიერებათა კანდიდატების მომზადება ასპირანტურის მეშვეობით უპირატესად წარმოებას მოწყვეტით. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გაიზარდოს მისი მასშტაბი მეცნიერებატევადი წარმოების მზარდ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. სრულვყოთ ასპირანტურაში ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევა, უწინარეს ყოვლისა, იმ სპეციალისტთაგან, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ არჩეული მეცნიერული მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ასპირანტთა მეცნიერული და იდეოლოგიური მომზადების დონე. სადისერტაციო გამოკვლევების თემატიკას თავი მოვუყაროთ მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტული მიმართულებებით. გავაუმჯობესოთ სტაჟიორ მკვლევართა თანამდებობებზე დამოუკიდებელი მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ორგანიზაცია და გავაფართოოთ მისი პრაქტიკა. დავსინჯოთ მიზნობრივ ასპირანტურაში შერჩევისა და მიღების წესი. გავუზარდოთ სტიპენდია ასპირანტებს, გავაძლიეროთ ზრუნვა მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის.

მიზანშეწონილად მივიჩნიოთ ის, რომ შევქმნათ დოქტორანტურები წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან, აკადემიურ და დარგობრივ სამეცნიერო დაწესებულებებთან. გავაზავნოთ იქ მეცნიერებათა კანდიდატები, რომლებსაც აქვთ შემოქმედებითი მიღწევები და საკმარისი მეცნიერული მარაგნაკეთი არჩეულ თემაში.

მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია და გავაძლიეროთ მისი ქმედითობა თეორიული და პრაქტიკული გადამზადების შეხამების საფუძველზე. გავითვალისწინოთ მასწავლებელთა ხანგრძლივი (1-2 წელი) სტაჟირება სახალხო მეურნეობის დარგებში სპეციალისტთა თანამდებობებზე, მათი უშუალო მონაწილეობა საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში.

გავაძლიეროთ ყურადღება მასწავლებელთა პოლიტიკური განათლებისადმი, იმისადმი, რომ მათ შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, გავაქტიუროთ მეთოდოლოგიური სემინარების მუშაობა.

სრულვყოთ სამეცნიერო ხარისხებისა და სამეცნიერო წოდებათა მინიჭების არსებული წესი. პროფესორისა და დოცენტის წოდებათა მინიჭების საკითხის გადწყვეტა გადავცეთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

დავაწესოთ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა ხელახალი საკონკურსო არჩევის სისტემა, გავაძლიეროთ მათ მოთხოვნები მათი პედაგოგიური და მეცნიერული კვალიფიკაციისადმი, იდეურ-ზნეობრივი სახისადმი, სპეციალისტთა მომზადებასა და აღზრდაში რეალური წვლილისადმი. უფლება მივანიჭოთ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს საჭირო შემთხვევებში დაწესონ წლიური გამოსაცდელი ვადა კონკურსით მასწავლებლად თანამდებობაზე მაძიებლის არჩევამდე. დავამკვიდროთ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო-პედაგოგიურ კოლექტივებში ინიციატივებისა და შემოქმედების, მტკიცე დისციპლინის, ურთიერთმომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარება, ჩამორჩენილობის, რუტინის, პროტექციონიზმისა და სხვა ნეგატიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის ატმოსფერო.

უახლოეს წლებში უნდა უზრუველყოთ ციმბირის, ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის ახალი უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით. წამყვანმა პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ ამ უმაღლეს სასწავლებლებს, მათ შორის გამოცდილი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაკების მივლინების გზით, რათა უშუალო მონაწილეობა მიიღონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზაციის სრულყოფაში.

შევქმნათ პირობები, რათა პედაგოგიურ მუშაობაში ფართოდ მივიზიდოთ სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტები და სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაკები. დავაწესოთ შრომის ანაზღაურების ისეთი წესი, რომელიც სტიმულს მისცემს მათს მონაწილეობას კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში. განვამტკიცოთ ზოგადსამეცნიერო დისციპლინების კათედრები უნივერსიტეტდამთავრებული სპეციალისტებით.

პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობათა ნომენკლატურა შევუსაბამოთ სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნებს. მოვუმატოთ ხელფასი უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებს, გავაძლიეროთ მასწავლებლის შრომის მატერიალური სტიმულირება. განვახორციელოთ ღონისძიებანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა და დოცენტთა საპენსიო უზრუნველყოფის გადიდებისათვის. მუდმივი ყურადღება გამოვიჩინოთ პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შრომისა და ყოფის პირობების, მათი სამედიცინო და სანატორიულ-საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებისადმი. მიზანშეწონილია დავაწესოთ „მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

VIII. უმაღლესი სკოლის როლის გაძლიერება სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, მეცნიერული ცოდნის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სწრაფი დაძველებისა და განახლების პირობებში უპირველეს ამოცანად ობიექტურად ისახება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტთა საყოველთაო სწავლება. ახალ საფუძველზე უნდა შევქმნათ კადრების გადამზადებისა და პროფესიული ზრდის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. მათი კვალიფიკაციის პერიოდული (პრაქტიკულად კი ეპიზოდური) ამაღლების წესიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა, უნდა გადავიდეთ მათი ცოდნის უწყვეტი, ოპერატიული შევსებისა და განახლების სისტემაზე. უცილობელი წესი უნდა გახდეს, რომ თითოეული მუშაკი დღის, კვირის, თვისა და წლის მანძილზე დროის გარკვეულ ნაწილს ამბარდეს კვალიფიკაციის ამაღლებას, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის თანამედროვე მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაუფლებას.

ამ მიზნით გაერთიანებებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, ყველა ორგანიზაციაში უნდა შეექმნათ სპეციალისტთა განუწყვეტელი სწავლების სხვადასხვა მუდმივმოქმედი ფორმა, მივიჩნიოთ იგი ყოველი შრომითი კოლექტივის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობად. ამასთან ერთად უნდა მივაღწიოთ, რომ თითოეული სპეციალისტი ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც კარდინალურად განიახლებდეს პროფესიულ ცოდნას სპეციალურ სასწავლებლებში უპირატესად სამუშაოს მოწყვეტით 3 თვემდე ვადით. გარდა ამისა, უნდა უზრუნველყოთ სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი კადრების გადამზადება საწარმოო საჭიროების კვალობაზე.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად საჭირო მასშტაბით უნდა განვავითაროთ და მოვაწესრიგოთ სასწავლებლების, მათ შორის დარგობრივი, დარგთშორისი და რეგიონალური სასწავლებლების სახელმწიფო ქსელი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს კადრების კონტინგენტის სწავლების მრავალფეროვანი საჭიროებანი — თვითგანათლების საჭიროებისა და კონკრეტულ საკითხებზე კონსულტაციებით დაწყებული და მომიჯნავე სპეციალობების შეძენით დამთავრებული. სახალხო მეურნეობის დარგებში საარსებოდ აუცილებელია გვქონდეს კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრები და სკოლები, ფაკულტეტები და ინსტიტუტები. თითოეულ დარგში მუშაკთა ცოდნის განახლებისათვის მთელი მრავალფეროვანი მუშაობის კოორდინაციისა და ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნას კვალიფიკაციის ამაღლების მეთაური ინსტიტუტი. უნდა უზრუნველვყოთ, რომ მათი საქმიანობა დაუკავშირდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურების მუშაობას.

საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა გავაძლიეროთ უმაღლესი სკოლის როლი, უფრო სრულად გამოვიყენოთ მისი მეცნიერ-პედაგოგთა კადრები სპეციალისტთა გადამზადების საქმეში. სამინისტროებთან და უწყებებთან კოოპერაციით უმაღლეს სასწავლებლებთან შეექმნათ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების დარგთშორისი და დარგობრივი სასწავლო ცენტრები, ინსტიტუტები და ფაკულტეტები, უმთავრესად მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულებებით. უმაღლეს სასწავლებლებთან შეექმნათ სამეურნეოანგარიშიანი კურსები იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურთ შეიძინონ ცოდნა გარკვეული პროგრამით, გამოიმუშაონ უნარი და ჩვეული საკომპიუტერო ტექნიკის დაუფლებაში, შეისწავლონ უცხო ენები და ა. შ. იმ კადრებთან მუშაობის მოწესრიგების მიზნით, რომლებიც დამოუკიდებლად იმაღლებენ კვალიფიკაციას, უმაღლეს სასწავლებლებთან შეექმნათ სპეციალური სამსახურები (განყოფილებანი) კონსულტაციების მოწყობისა და მათი ცოდნის დონისადმი კონტროლის განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა გაძლიეროს კვალიფიკაციის განუწყვეტელი ამაღლების მთელი სისტემის ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა და სახელმწიფო ინსპექტირება — სწავლების შინაარსის, აგ ტიპის სასწავლებლების განვითარების, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის.

საჭიროა გავაძლიეროთ კადრების პირადი პასუხისმგებლობა და დაინტერესება, ამასთან კვალიფიკაციის ამაღლების შედეგებს უშუალოდ დავუკავშიროთ სპეციალისტთა ატესტაცია, საქმიანი ზრდა და მათთვის ხელფასის დონის დაწესება. კვალიფიკაციის ამაღლების ყველა სახეობა და ფორმა უნდა აისახოს სპეციალისტის საკვალიფიკაციო ატესტატში.

ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროებში ახალი ამოცანების გადასაწყვეტად კადრების დროული და სათანადო მომზადებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ყველა რგოლის ეფექტიანი საქმიანობის საჭირო პირობების შექმნისათვის. ზისი მუშაობა დავუქვემდებაროთ ქვეყნის, სახალხო მეურნეობის დარგების, გაერთიანებებისა და საწარმოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულების ამოცანებს.

მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების განუხრელი და სწრაფი დაუფლება უნდა გახდეს თითოეული სპეციალისტის ნორმა და საარსებო მოთხოვნილება. სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუველყოს ყველა ნოვალალისათვის ხელშემწყობი პირობები მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისათვის უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნისა და განვითარების ბაზაზე. ამ სისტემის ცენტრშია უმაღლესი სკოლა, რომელიც პასუხისგებელია სკოლამდელი დაწესებულებებიდან უმაღლეს სასწავლებლებამდე მალალკვალიფიციური მასწავლებლთა კადრების მომზადებისათვის, მოწოდებულია სპეციალისტები აღჭურვოს ფუნდამენტურ საბაზო განათლებასთან ერთად მიღებული ცოდნის განახლების განვითარებული ჩვეულებით, გაიღრმაოს თავისი გავლენა კვალიფიკაციის ამაღლების ყველა ფორმაზე.

IX. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ტექნიკური განახლება მისი საქმიანობის ეფექტიანობის გადიდების აუცილებელი პირობაა

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ამოცანების გართულება, მეცნიერული გამოკვლევების განვითარება მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხთა კომპლექსის კარდინალურ გადაწყვეტას. უნდა უზრუნველყოთ ამ სფეროში საჭირო რესურსების მიზანმიმართული განაწილება, მათ შორის შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების სახსრების შენაერთებული ნაწილი. მივალწიოთ იმას, რომ რაციონალურად და სრულად გამოვიყენოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები. ამასთან ერთად განუხრელად უნდა განვახორციელოთ გეზი, რომ სულ უფრო აქტიურად გამოვიყენოთ სტუდენტთა სწავლებისათვის გაერთიანებების, მოწინავე საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების თანამედროვე ბაზა.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო-ლაბორატორიული ფართობი გაზარდოთ დადგენილ ნორმატივებამდე, საერთო საცხოვრებლებში ადგილებით უზრუნველყოთ უბინაო მოსწავლეები, ნსტეხელები და ასპირანტები. ამისათვის უნდა ავაშენოთ დაახლოებით 18 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის სასწავლო-ლაბორატორიული შენობები, აგრეთვე საერთო საცხოვრებლები 630 ათასი სტუდენტისა და ასპირანტისათვის. ჯეროვანი პირობები შევუქმნათ თითოეულ სტუდენტს დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობისათვის, კულტურული თავლაზადვის გაფართოებისათვის, ფიზიკური კულტურითა და სპორტით მეცადინეობისათვის. ავაშენოთ საცხოვრებელი სახლები პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის. თანამედროვე დონეზე მოვაწყოთ სტუდენტთა და უმაღლესი სასწავლებლებია მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

გავაუმჯობესოთ უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსები, სტუდენტთა ქალაქების დაპროექტება, გავითვალისწინოთ მათში სპეციალიზებული სოციალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული, სპორტული ობიექტებისა და ნაგებობების მშენებლობა. საჭიროა, რომ არქიტექტურულ-საგეგმარ ებელი გადაწყვეტები აკმაყოფილებდეს ქალაქმშენებლობის უმაღლეს ესთეტიკურ მოთხოვნებს.

სამინისტროებისა და უწყებების გეგმებში იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც სახალხო მეურნეობა ხარჯავს, ნიადაგ სრულვყოთ სპეციალობათა ნომენკლატურა და განათლების შინაარსი;

წარმოებასა და მეცნიერებასთან უმაღლესი სკოლის ინტეგრაციის ეფექტიანი გამოყენება კადრების სწავლებისა და გადამზადების დონის ამაღლების, მეცნიერული ნამუშევრების შედეგიანობის გადიდების ინტერესებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სახელმწიფო გეგმების ფარგლებში განახორციელოს სხვადასხვა დაქვემდებარების უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადებისა და მეცნიერული გამოკვლევების რეგულირება ამ მიზნებისათვის დარგების მიერ გამოყოფილი სახსრების ოდენობის გათვალისწინებით;

ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მეცნიერულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობის ეფექტიანობის გადიდება იმ გზით, რომ გაძლიერდეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გავლენა სასწავლებლების დარგობრივ ჯგუფებზე — მეთოდიკური გაერთიანებების მეშვეობით — უმაღლესი სკოლის რეგიონალური ცენტრების ნეშვეობით ქალაქებსა და ეკონომიკურ რაიონებში მათი საქმიანობის კოორდინაციასთან შეხამებით. უნდა გავაძლიეროთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საკონტროლო ფუნქციები და სწავლების ხარისხის სახელმწიფო ინსპექტირება, შემოვიღოთ უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია. უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გავლენა მეცნიერულ-პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, ამასთან გავაფართოოთ მისი უფლებები საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად უმაღლესი სასწავლებლების რექტორების დანიშნასა და სამუშაოდან განთავისუფლებაში.

ნონსახესაგე სპეციალობათა ჯგუფების მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდიკური გაერთიანებების შექმნამ მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე უნდა გააძლიეროს სასწავლებლის მართვის მეცნიერული საფუძველი. გაერთიანებები ხელს შეუწყობენ უმაღლეს სასწავლებლებს რეგულარულად ასახონ სასწავლო პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი დარგების საარსებო ინტერესები და განვითარების ტენდენციები. ისინი ხელს შეუწყობენ მეცნიერთა მეცადინეობის კონცენტრაციას, თავიანთ დარგში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოთა შესასრულებად და ამა თუ იმ პროფილის მასწავლებელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ორგანიზაციასა და მეცნიერულ-მეთოდიკურ უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რეგიონალური ცენტრების საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს რექტორთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორთა საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომელიც შეძენილია ქვეყანაში. მიზანშეწონილია ამ ცენტრებს დაეკისროთ სასწავლო-მეთოდიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია ტერიტორიული თემატიკის ნაწილში, რეგიონის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევა. გავითვალისწინოთ იქ უმაღლესი სასწავლებლებთაშორისი სასწავლო-სამეცნიერო ქვეგანაყოფების, გამოთვლითი ცენტრების, ბიბლიოთეკების, პოლიგრაფიული ბაზის, საექსპერიმენტო-სამრეწველო საწარმოების, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, სამედიცინო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა შექმნა.

უმაღლესი სასწავლებლების პერიოდული ატესტაცია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მოწყობის დონის, სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრებისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით საფუძვლად უნდა დაედოს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში სპეციალობათა ნომენკლატურისა და სპეციალისტთა მომზადების მოცულობის რეგულირებაც. მისი შედეგების მიხედვით განვსაზღვროთ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც ენიჭებათ უფლებები და შესაძლებლობანი განახორციელონ კადრების გაღრმავებული, ვადაგადიდებული სწავლება, აგრეთვე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. უნდა უზრუნველვყოთ სპეციალისტთა სწავლებისა და მეცნიერული გამოკვლევების თანდათანობით კონცენტრაცია უმაღლესი სასწავლებლების გამსხვილების ზზით, მოვაწესრიგოთ უმაღლესი სასწავლებლების ქსელი.

უნდა განვახორციელოთ უმაღლესი სასწავლებლების უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოების, მათი საქმიანობის წვრილმანი რეგლამენტაციის გამორიცხვის, ფორმალიზმისა და ქაღ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲐᲒᲘᲗ და დიდი ინტერესით გავეცანით სპაროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ №1 სახელოსნოს ხელმძღვანელის **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** და „მზიურის“ სპაროექტო სექტორის ხელმძღვანელს **ᲒᲘᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ** ინტერვიუს, რომელიც მათ „კომუნისტს“ მისცეს და რომელიც გაზეთმა ამ დღეებში დაბეჭდა სათაურით: „მხრებს გაშლის „ოცნების ქალაქი“.

კომპლექს „მზიურის“ განაშენიანებისადმი ინტერესი საყოველთაოა. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა დაუყონებლივ საჯაროდ გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც მთლად ვერ ემთხვევა პატივცემული დამპროექტებლების ჩანაფიქრს.

დავიწყოთ ზოოპარკისა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიების ზედდების საკითხით. პროექტის ავტორები ამ ზედდებას „უნიკალურს“ უწოდებენ. არც ცდებიან, ასეთი შემთხვევები მართლაც იშვიათია, და მიმზიდველი, მაცდუნებელი გამოხატულება აქვს გაზეთში დაბეჭდილ სიტუაციურ სქემაზე, ოღონდ რეალურად მისი ხორცშესხმაც იშვიათია და, თუ გნებავთ, შეიძლებლადაც ჩანს. პირველი და მთავარი ის არის, რომ თანამედროვე ზოოპარკი აუცილებლად გულისხმობს ველიერებს, სადაც ცხოველები ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში უნდა ვიყოლიოთ, ხოლო ბოტანიკურ ბაღში, რომელიც აუცილებლად სამეცნიერო ცენტრსაც წარმოადგენს, ყოველი კუთხე მისადგომ-მისაწვდომი უნდა იყოს მეცნიერი თანამშრომლებისათვის, რაც ზედდების შემთხვევაში თითქმის გამორიცხულია. ამის გარდა, ან უფრო სწორედ, ამის გამო კვლავ ათწლეულობით გაჭიანურდება თბილისის ზოოპარკის რეკონსტრუქცია-განახლება. თუ არ ვცდებით სწორედ ეს მოსაზრებანი დაედო საფუძვლად იმ დადგენილებას, რომლითაც ზოოპარკს ლისის ტბის მიდამოები დაჰვმო. ჩვენ პირადად საკითხის არც ამგვარი გადაწყვეტა მიგვაჩნია ოპტიმალურად, რადგან ზამთრობით ეს ადგილები ჯერჯერობით ძნელი მისადგომიცაა, ამასთან იქ საკმაოდ ცივა და ერთობ გაგვიჭირდება განსაკუთრებით თბილი ქვეყნების ფაუნის წარმომადგენლების მოვლა-პატრონობა.

ინტერვიუში არაერთხელ არის ნახსენები ზემდგომი ორგანოების პოზიცია, მოტანილია ციტატები გაზეთ „კომუნისტიდან“. იოლად მისახვედრია, რომ ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს სურვილი ვიღაცეებს დავუპირისპირდეთ. მაგრამ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია არ დავფაროთ საკუთარი აზრი, როცა საქმე საშვილიშვილო, მომავალი თაობებისათვის საჭირბოროტო საკითხს ეხება. ჩვენი ღრმა რწმენით თბილისის ზოოპარკს უნდა გამოენახოს ადგილი თბილისის შემოგარენში და მარტო იმიტომ კი არა, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს უბანს — ვაკე-საბურთალოს — ზოოპარკისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურობას ავაცილებთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ იქ მართლაც შესაძლებელი იქნება ვოლიერების პრინციპის განხორციელება და თანამედროვე სრულფასოვანი ზოოპარკის შექმნა.

და კიდევ ერთი. რამდენადაც გვახსოვს, ზოოპარკისა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიების ზედდების იდეას არ უკარნახებია ნოდარ დუმბაძისათვის „მზიურის“ დაარსება. აწ განსვენებულ მწერალს „მზიური“ მაგვრთა გასართობ და დასასვენებელ პარკად ჰქონდა წარმოდგენილი. ოცნების ქალაქადაც იმიტომ მონათლა, რომ უნდოდა ბავშვების საყვარელი პერსონაჟებთან, ზღაპრულით თუ რეალურით, დაესახლებინა იგი. რა ვუყოთ, რომ ამერიკულ დისნეილენდს ვერ გავიმეორებთ (სხვათა შორის, ცოდვად მიგვაჩნია დისნეილენდის „ქოლრიკულ ატრაქციონების ქალაქად“ გამოცხადება). გამეორება და კოპირება არც უნდა იყოს საჭირო — ჩვენ ჩვენს ბავშვებს ქართული ზღაპრული სამყარო უნდა შეეუქმნათ თავისი ნაცარქექიებით, წიქარებითა და ტროყებით.

ჩვენ სწორედ ასეთად გვესახება კარგი იდეის კარგად განხორციელება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ,
ᲚᲔᲝᲜᲘᲓᲔ ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ,
აკადემიკოსები.

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ

3Ი ᲛᲐᲘᲡᲘ ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილის, საიდუმლო საბჭოს ლორდ-თავმჯდომარის, კონსერვატორთა პარტიის წევრის ლორდ უაიტლოუს მეთაურობით კვლავ ეცნობოდა თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

იმავე დღის ბრიტანელი პარლამენტარები თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ი. ტერებელოვი, რომელიც ახლა მას მოგზაურობაში.

დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პ. პ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა რ. ა. გოგლიძემ, ნ. შ. ენდელაძემ, ა. გ. კარანაძემ, ო. ვ. მელქაძემ, ზ. შ. მესხიშვილმა, ა. ო. მოსესიანმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. დ. ჯავახიშვილმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

თბილისიდან გამგზავრების წინ ბრიტანეთის პარლამენტართა დელეგაციის მეთაურმა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

ლორდმა უაიტლოუმ განაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი ყურადღებით მოიკიდა დელეგაციას სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა საგანგებოდ გარკვევით განაცხადა, რომ იგი მზად არის დიდ ბრიტანეთთან კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის, თქვა ლორდმა უაიტლოუმ. შეეხეთ პრობლემებს, რომელთა გამოც მხარეების თვალსაზრისი ერთმანეთს არ ემთხვევა. მიუხედავად ამისა, ბატონმა გორბაჩოვმა გამოთქვა იმედი, რომ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში შეიძლება ორი მხარის პოზიციების დაახლოება. მან წამოაყენა მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი, რომლებსაც სიამოვნებით გავაცნობთ ჩემს კოლეგებს მთავრობაში, განაცხადა ლორდმა უაიტლოუმ.

(საქინფორმი).

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების V რესპუბლიკური კონფერენცია.

გაშეგობის ანგარიში გააკეთა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ, რომელმაც ილაშარაკა აგრეთვე საზოგადოების ამოცანებზე სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

გაამართა საზოგადოების გამგეობისა და პრეზიდიუმის, მისი სარევიზიო კომისიის არჩევნები. აირჩიეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის კომუნისტური კომისიის ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიუროს